



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსე ხონელი

მოსე ხონელი (XII ს.), მწერალი. სავარაუდოდ, წარმოშობით დას. საქართველოს, კერძოდ დაბა ხონის, მკვიდრი იყო და „ხონელიც“ ამიტომ ეწოდა. განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. თოდუას. მისი აზრით, „ხონელის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ხომელი“. ეს ფორმა დაცულია პოემის ერთ-ერთ (H-54) ხელნაწერში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, სოფ. ხომა მდებარეობდა დღევანდელ ახალციხის მუნიციპალიტეტში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, **მ. ხ.** თამარ მეფის მდივანმწიგნობარიც უნდა ყოფილიყო. მას საფალავნო-სათავგადასავლო პროზაული ნაწარმოების, „ამირანდარეჯანიანის“ ავტორად მიიჩნევენ იმ ტრადიციის საფუძველზე, რაც მომდინარეობს ფსევდორუსთველური სტროფიდან: „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“. თხზულების ერთ-ერთი ნუსხის ბოლოს მიწერილია: მოსე ხონელის მიერ ნასიტყვიო. აღორძინების ხანაში მას ავტორად მოიხსენიებენ „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავი ს. თანიაშვილი; „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში – თეიმურაზ ბატონიშვილი, აგრეთვე – „ომანიანის“ ავტორი; შ. ნუსუბიძე კი წარმართულ-მითოლოგიური „ამირანიანის“ ავტორად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ძეგლის „გალიტერატურება“ შემდგომში მოხდა; დ. ლანგი და მ. თუენი ფიქრობენ, რომ იგი მთარგმნელ-ადაპტატორია და ფოლკლორული ვერსია „ამირანდარეჯანიანის“ გავლენითაა შექმნილი. სხვა ცნობა **მ. ხ.**-ის შესახებ არ მოგვეპოვება.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1945; გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., მოსე ხონელი, კრ.: დიდნი საქმენი, თბ., 2011; თ ო დ უ ა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტ. 2, თბ., 1975; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1981; ს ა მ ს ო ნ ა ძ ე ვ., მოსე ხონელის სადაურობისთვის, „საბჭოთა ხელოვნება“ 1982, №8; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“, ტფ., 1895; М а р р Н. Я., Персидская национальная

тенденция в грузинском романе Амиран-Дареджаниани, „Журнал Министерства народного просвещения“, 1895, №6; Н у ц у б и д з е Ш., Руставели и восточный ренессанс, Тб., 1947; Х а х а н о в А., Очерки по истории грузинской словесности, 2, М., 1897.

ს. მეტრეველი
